

ပေါင်္ဂလာရေ ပောင်္ဂလာရေ

အပေးမှုပိုဒေသ

မြတ်စွဲ ရုပ်သမဂ္ဂ



ဝန်ဆေ
2015

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“ ფარგლებში.

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.



Kingdom of the Netherlands

ავტორი: სულხან სალაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გარეკანის დიზაინი: თეონა მაშარაშვილი
სალომე საღარაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
სულხან სალაძე

აინტერი და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
კ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
ასოციაციის წერილობითი წებართვის გარეშე

ს ა რ ჩ ი ვ ი

1. მიზანი და მიზანები	4
2. გეოგრაფიკა	4
3. მარეგულირებელი ჩარჩო	5
4. 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განვითარების უცხოები	7
5. 306 განვითარება ყველაზე მატი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა	9
5.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	10
5.2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	11
5.3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო	13
5.4. საქართველოს მთავრობის კანცელარია/ადმინისტრაცია	13
5.5. საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო	15
5.6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	16
5.7. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო	17
6. განსაიდუმლოებული ხელშეკრულებები	17
6.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	17
6.1.1. შპს „სუპერ V“	18
6.1.2. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“	18
6.1.3. შპს „ჯორჯიან ეარვეისი“	19
6.1.4. შპს „ალგორითმი“	19
6.1.5. „TRANSMOBILE LTD CORP“ და შპს „ლეგიონი“	19
6.1.6. სს „სილქნეტი“ და „კაბელების საქმე“	21
6.2. საქართველოს მთავრობის კანცელარია/ადმინისტრაცია	22
6.2.1. შპს „არქიტექტორები.ჯი2“	22
6.2.2. შპს „არტესი“	23
6.2.3. შპს „მშენინებელვისი“	24
6.2.4. სხვა ხელშეკრულებები	24
6.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	25
6.3.1. შპს „ბლოკ ჯორჯია“	25
6.3.2. სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთი“	26
7. დასკვნა	27
8. რეკომენდაციები	28

1. მიზანი და მიზანები

უკვე წლებია, რაც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, პოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი ხელშესახები რეფორმა გატარდა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობისა და საჯარო ფინანსების ხარჯვის რაციონალურობის ხარისხი. უფრო მეტიც, 2012 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიული ჯილდო მიღლო წომინაციაში – „საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია და კორუფციასთან ბრძოლა“¹.

თუმცა, მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, სახელმწიფო შესყიდვებში დღემდე რჩება არაერთი პრობლემური საკითხი. წარმოდგენილი კვლევა სწორედ ერთ-ერთ მათგანს – საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებს ეხება და მიზნად ისახავს, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენად მასშტაბური თანხების ხარჯვაზეა საუბარი, როდესაც შესყიდვა სახელმწიფო საიდუმლო ფორმით ხდება და, სათანადო რეგულაციების არარსებობის პირობებში, რამდენად მაღალია კორუფციული გარიგებების რისკი.

წარმოდგენილი კვლევა არის პირველი დოკუმენტი, რომელიც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით მომზადდა. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევაში განხილული საკითხები, გამოწვევები და რიგი საეჭვო გარიგებები ფართო დისკუსიის საგანი გახდება.

2. მათოდოლოგია

კვლევის მომზადების მიზნით, საიას მიერ 13 ადმინისტრაციულ ორგანოში გაიგზავნა განცხადება. ადმინისტრაციული ორგანოების შერჩევისას, აქცენტი გაკეთდა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებებზე, კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებსა და საქმიანობის სპეციფიკაზე.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები სათანადო რეგულაციების გარეშე დარჩენილი, რთულია ყველა იმ ადმინისტრაციული ორგანოს იდენტიფიცირება, რომლებიც 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდნენ.

მთლიანობაში, საიამ ცამეტივე ადმინისტრაციული ორგანოდან ერთი და იგივე შინაარსის შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა:

- 2010-2015 წლებში საიდუმლო შესყიდვების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა;
- 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით გადახდილი თანხის ჯამური ოდენობა;
- 2010-2015 წლებში განსაიდუმლოებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის პარალელურად, კვლევაზე მუშაობის დროს ყურადღება გამახვილდა იმ საკანონმდებლო რეგულაციებზე, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული. ასევე, რიგი ხელშეკრულების შემსრულებელ კომპანიებთან დაკავშირებით, გამოყენებული იყო სამენარმეო რეესტრში არსებული ჩანაწერები.

ძირითადი მიგნებები

მოპოვებული დოკუმენტების ანალიზისა და წარმოდგენილი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიგნებების გამოყოფა:

- 2010-2015 წლებში საქართველოში არსებული მხოლოდ შვიდი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საერთო ჯამში, 747,407,518 ლარის ღირებულების 2752 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა;
- ამასთან, საქართველოს დღემდე არ გააჩნია სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების ნესის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის არარსებობის პირობებში, უაღრესად მაღალია კორუფციული შინაარსის შემცველი გარიგებების გაფორმების შესაძლებლობა, რასაც, მაღალი აღბათობით, შესაძლოა ადგილი ჰქონდა 2010-2015 წლებში;
- 2010-2015 წლებში გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ის ნაწილი, რომელიც ამავე პერიოდში განსაიდუმლოვდა, მონმობს, რომ წლების განმავლობაში, რეგულაციების არარსებობის პირობებში, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სტატუსი პრაქტიკულად ყველა სახის შესყიდვაზე ვრცელდებოდა. ამასთან, განსაიდუმლოებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სე-

¹ <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan049650.png>;

რიოზულ კითხვებს ტოვებს კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვების, საიდუმლოდ შესყიდვის მიზანშე-ნონილობის და შემსრულებელი კომპანიების შერჩევის კუთხით;

- 2010-2015 წლებში გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ის ნაწილი, რომელიც ამავე პერიოდში განსაიდუმლოვდა, ნათლად მიუთითებს, რომ, რიგ შემთხვევებში, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისას, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენებას, რაც აღნიშნული კანონის მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ნათლად მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონის რეგულირების სფეროში არ შედის შესყიდვები, რომლებიც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სტატუსით ხორციელდება;
- 2010-2015 წლებში გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ნაწილი, რომელიც ამავე პერიოდში განსაიდუმლოვდა, ადასტურებს, რომ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების დროს ადგილი ჰქონდა, ე.წ. „ხელშეკრულების მესამე მხარის“ სტატუსით, გაურკვეველი ფუნქციის მქონე კომპანიების მონაცილეობას, რაც, შესაძლოა, სავარაუდოდ, კორუფციულ გარიგებებზე მიუთითებდეს;
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შვიდი ადმინისტრაციული ორგანოს მაგალითზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა საიდუმლო სახელმწიფო ხელშეკრულებების სტატუსით გაფორმებული ხელშეკრულებების როგორც რაოდენობა, ასევე ამ გარიგებების სახელშეკრულებო ლირებულება. თუმცა, მარეგულირებელი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება როგორც გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების საიდუმლოების მიზანშენონილობის, ასევე, შემსრულებული კომპანიების შერჩევის საკითხი.

3. მარეგულირებელი ჩარჩო

2006 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის პირველივე მუხლა განსაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების ის კატეგორია, რომელზეც აღნიშნული კანონის მოქმედება უნდა გავრცელებულიყო.² ამასთან, იმავე მუხლით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო შესახებ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა. კანონის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხის და შესყიდვების განხორციელების წესის შემუშავება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა, ხოლო შემუშავებული რეგულაცია საქართველოს პრეზიდენტს უნდა დაემტკიცებინა.³

2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, აღნიშნული რეგულაციის დამტკიცების უფლება საქართველოს მთავრობას გადაეცა.⁴

2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული მორიგი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხის და შესყიდვების განხორციელების წესის შემუშავების უფლებამოსილება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს კომპეტენციაში გადავიდა, ხოლო აღნიშნული რეგულაციების დამტკიცების პრეროგატივა კვლავაც საქართველოს მთავრობას დარჩა.⁵

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ, 2006 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და მესყიდვების განხორციელების წესის შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოები შეიცვალა, ერთი რამ ცხადია – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამტკიცებული რეგულაციები, თუმცა, ასეთი რეგულაციების ამ დრომდე არ არსებობს.

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მიზნებისთვის საიამ რიგი ინფორმაციის შეგროვება ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, პირველ ეტაპზე განცხადებები გაიგზავნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და საქართველოს მთავრობაში.⁶

² საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 1;

³ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 1 (2005 წლის 20 აპრილის რედაქცია. ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=0>)

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე; 24.09.2013წ. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2032352>);

⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე; 4.03.2015წ. (ელექტრონულად ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764353>);

⁶ საიას 2014 წლის 29 ოქტომბრის #გ-04/532(1)-14 და 2014 წლის 12 იანვრის #გ-04/536-14 განცხადებები;

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 11 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის შემმუშავებელი დროებითი საუწყებათაშორისო კომისია.⁷

ამავე ბრძანებულებით განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა და დებულება. ბრძანებულების თანახმად, კომისია ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის, ასევე, თავდაციის სამინისტროს, დაზვერვის სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა ეთხოვათ ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს.⁸

პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, კომისიის მუშაობის ვადა ოთხი თვით განისაზღვრა,⁹ ხოლო ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ საიასთვის მიწოდებული ინფორმაციით, კომისიამ შემუშავა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების პროექტი და შემუშავებული დოკუმენტები განსახილველად ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს გადაუზიავნა.¹⁰ საბჭოს აპარატისავე ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის შენიშვნების წარმოდგენისთანავე პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნებოდა საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, მთავრობის კანცელარიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2014 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი.¹¹ მთავრობის კანცელარია ასევე აღნიშნავდა, რომ ამავე მიზნებისთვის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენილი დოკუმენტის პროექტზე, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, შენიშვნები ჰქონდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და ამ შენიშვნებზე მსჯელობის შემდეგ მიღებული იქნებოდა შესაბამისი აქტები.¹²

ამრიგად, 2014 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამტკიცებული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღნიშნოს, რომ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციები ჯერ საქართველოს პრეზიდენტს და შეძეგვ, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას გაცილებით ადრე უნდა დაემტკიცებინათ.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საიას კომუნიკაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან მხოლოდ 2014 წლის გაგზავნილი კორესპონდენციით არ ამონურულა. იმის გასაგებად, თუ როგორ მიმდინარეობდა საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციების მომზადება, 2015 წლის 23 მარტს საიას მორიგი განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას და შემდეგი ინფორმაციის გაცემა ითხოვა:

- დამტკიცებული იყო თუ არა, 2015 წლის 23 მარტის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის მიერ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი;
- იმ შემთხვევებში, თუ არ იყო დამტკიცებული შესაბამისი რეგულაციები, იგეგმებოდა თუ არა მისი დამტკიცება და როდისთვის.¹³

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავრობას არც 2015 წლის 5 მაისისთვის ჰქონდა დამტკიცებული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი. შესყიდვების განხორციელების წესი 14 სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ამ დოკუმენტების პროექტიც კი არ ჰქონდა წარდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს პროექტის წარდგენის ვალდებულება 2015 წლის 23 მარტიდან განესაზღვრა. თუმცა, ჯერ კიდევ 2014 წლის სახელმწიფო უშიშროების საბჭოსთან შექმნილ კომისიას მომზადებული და გადაუზიავნილი ჰქონდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან და-

⁷ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის #2/547 კორესპონდენცია; საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 11 აპრილის #144 ბრძანებულება;

⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 11 აპრილის #144 ბრძანებულება;

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 11 აპრილის #144 ბრძანებულება;

¹⁰ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის #2/547 კორესპონდენცია;

¹¹ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 10 ოქტომბრის #38027 კორესპონდენცია;

¹² საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 10 ოქტომბრის #38027 კორესპონდენცია;

¹³ საიას 2015 წლის 23 მარტის #გ-04/264-15 განცხადება;

¹⁴ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 5 მაისის #28847 კორესპონდენცია;

კავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესის განმსაზღვრელი დოკუმენტების პროექტი.¹⁵

საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის კოორდინაციით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი და სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვის წესი შემუშავების პროცესშია. დოკუმენტი „უახლოეს მომავალში“ საქართველოს მთავრობას წარედგინება.¹⁶

უცნობია, თუ რა ვადა იგულისხმება „უახლოეს მომავალში“, თუმცა ფაქტია, რომ სანამ საქართველოს მთავრობა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხასა და შესყიდვის წესს დაამტკიცეს, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სახელით გაფორმებული ყოველი ხელშეკრულება მომეტებული კორუფციული რისკის შემცველია.

4. 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმიწოდების განვახორციელებაზე უცხოები

როგორც წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში აღინიშნა, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხვის შესახებ განცხადება სულ 13 ადმინისტრაციულ ორგანოში გაიგზავნა. კერძოდ:

1. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;
2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
9. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
10. საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო;
11. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო;
12. სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი დელტა;
13. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

ზემოთ აღნიშნული 13 ადმინისტრაციული ორგანოდან, ორმა მათგანმა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ – განაცხადა, რომ 2010-2015 წლებში საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები არ განუხორციელებიათ.¹⁷ დანარჩენი 11 ადმინისტრაციული ორგანოდან ხუთმა – საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ,¹⁸ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ,¹⁹ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ (მხოლოდ ხელშეკრულებით გადახდილი თანხის ნაწილში²⁰), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ²¹ და სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა დელტამ²² – ინფორმაციის გაცემაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას უკავშირდებოდა.

მთლიანობაში, საიას, 13-დან 7-მა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა ინფორმაცია 2010-2015 წლებში განხორციელებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რაც, წლების მიხედვით, შემდეგ სახით ნაწილდება:

¹⁵ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 2014 წლის 19 ნოემბრის #2/547 კორესპონდენცია;

¹⁶ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის 2015 წლის 11 ნოემბრის #1246 კორესპონდენცია;

¹⁷ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: 10.12.14 - #08/8803; 18.09.15 - #08/6596, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო: 01.12.14 – 06/4377; 11.09.15 – 06/3405;



¹⁸ 2015 წლის 16 თებერვლის #1031 კორესპონდენცია;

¹⁹ 2015 წლის 27 თებერვლის #01/7138 კორესპონდენცია;

²⁰ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის 2015 წლის 2 დეკემბრის #1406 კორესპონდენცია;

²¹ 2014 წლის 08 დეკემბრის #2487685 კორესპონდენცია;

²² 2014 წლის 08 დეკემბრის #2487685 კორესპონდენცია;




როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამები მოწმობს, 2010-2012 წლებში შეინიშნებოდა ტენდენცია, რომელიც, დასახელებული 7 უნიკების მაგალითზე, როგორც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების, ისე ამ ხელშეკრულებებში გადახდილი თანხების მუდმივად მზარდ დინამიკაზე მიუთითებს. 2012 წლის საპარ-ლამენტო არჩევნების შემდეგ აღნიშნული ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით შეიცვალა, რაც ამ ტიპის ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულებში გადახდილი თანხების შემცირებაზე მეტყველებს. თუმცა ის, რომ, როგორც 2010-2012, ისე 2013-2015 წლებში, საიდუმლო შესყიდვები შესაბამისი რეგულაციების არარსებობის პირობებში ხორციელდებოდა, მნიშვნელოვნად ზრდის საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შესაძლო კორუფციული გარიგებების ალბათობას. უფრო მეტიც, რეგულაციების არარსებობის პირობებში, სერიოზულად რთულდება შესაძლო კორუფციული გარიგებების დადასტურების შესაძლებლობაც კი.

5. 306 განახორციელა ყველაზე მეტი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა

როგორც უკვე აღინიშნა, საერთო ჯამში, 7-მა ადმინისტრაციულმა ორგანომ 2010-2015 წლებში 747,407,518 ლარის ღირებულების 2752 ხელშეკრულება გააფორმა. აღნიშნული 7 უწყების მიერ გაღებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ხარჯები კი, შემდეგი ფორმით ნაწილდება:


სახელმწიფო შესყიდვის ხარჯები უწყებების მიხედვით

651,338,152



სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობა უწყებების მიხედვით

2,064



ზემოთ მოცემული დიაგრამა მოწმობს, რომ 2010-2015 წლებში ყველაზე მეტი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაფორმდა. თავისთავად, ის გარემოება, რომ ყველაზე მეტი მსგავსი შინაარსის ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტრომ გააფორმა, შესაძლოა, ბუნებრივიც არის, თუმცა, იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოში არ არსებობს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციები, 7 ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2010-2015 წლებში გაფორმებული 2752 ხელშეკრულება უაღრესად დიდი ციფრია. ქვემოთ ნარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

5.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 651,338,152 ლარის ღირებულების 2064 საიდუმლო ხელშეკრულება გააფორმა. ფაქტობრივად, გამოდის, რომ 2010-2015 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამუალოდ, დღეში ერთ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას აფორმებდა. ეს ციფრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება, თუ ამ მონაცემებს 2010-2012 წლების მიხედვით გადავიანგარიშებთ. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2010-2012 წლებში სამინისტრომ ჯამში 1558 ხელშეკრულება გააფორმა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,²³ რაც მთელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების 75,5%-ს შეადგენს. ხელშეკრულებების აღნიშნული რაოდენობა, იგივე 2010-2012 წლებთან მიმართებით, აჩვენებს, რომ თავდაცვის სამინისტრო, საშუალოდ, დღეში 1,42 ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით. საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების აღნიშნული რაოდენობა, რომ არაფერი ვთქვათ რეგულირების არარსებობის პირობებში არსებულ მაღალ კორუფციულ რისკებზე, სერიოზულ კითხვებს აჩენს კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვის საიდუმლოდ მიჩნევის მიზანშეწონილობის კუთხით.

კიდევ ერთი სტატისტიკის მიხედვით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჯამში 651,338,152 ლარის ღირებულების საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა. შესაბამისად, გამოდის, რომ 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე თავდაცვის სამინისტრო დღეში საშუალოდ 314,656 ლარის ღირებულის ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ამასთან, ეს ციფრი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება, თუკი გაანგარიშებას 2010-2012 წლებზე გაფართოებთ. მაშინ გამოდის, რომ თავდაცვის სამინისტრო დღეში საშუალოდ 495,150 ლარის ღირებულების ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული ციფრები ერთმნიშვნელოვნად მცირდება, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და, თუ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე მოვახდენთ გადაანგარიშებას იმავე პრინციპით, მაშინ გამოდის, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე, თავდაცვის სამინისტრო დღეში საშუალოდ 0,5 ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.²⁴ რაც შეეხება 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებას, თავდაცვის სამინისტრო დღეში საშუალოდ 111,554 ლარის ღირებულების ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

2010-2012 წ.

1558 ხელშეკრულება

542,684,700 ლარი

დღეში 495,150 ლარი

2 დღეში 3 ხელშეკრულება

2013-2015 წ.

506 ხელშეკრულება

108,653,452 ლარი


დღეში 111,554 ლარი

2 დღეში 1 ხელშეკრულება


²³ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 2 თებერვლის #0 15 00880093 კორესპონდენცია;

²⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 2 თებერვლის #0 15 00880093 და 29 სექტემბრის #7 15 00 779905 კორესპონდენცია;

საიდუმლო შესყიდვების რაოდენობა



საიდუმლო შესყიდვების ღირებულება




5.2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური


ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა 43,259,272 ლარის ღირებულების 275 სახელმწიფო საიდუმლოების შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმდა.²⁵ წლების მიხედვით გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების ღირებულება ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზეა გამოსახული.

²⁵ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2015 წლის 10 იანვრის #796 და 16 სექტემბრის #32911 კორესპონდენციები;

საიდუმლო შესყიდვების რაოდენობა



საიდუმლო შესყიდვების ღირებულება




სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ნათელი ხდება, რომ 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში გაფორმებული 275 ხელშეკრულებიდან 40%, ანუ 111 ხელშეკრულება 2010-2012 წლებში გაფორმდა. ხოლო 60%, ანუ 164 კონტრაქტი – 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობა ჯამურად მნიშვნელოვნად აღემატება 2010-2012 წლებში გაფორმებულ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს, საპირისპირო სურათია ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით. მაგალითად, 2010-2012 წლებში გაფორმებული 111 ხელშეკრულების ღირებულება 28,457,029 ლარს შეადგენს, ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე გაფორმებული 164 ხელშეკრულების ღირებულება – 14,802,240 ლარს. უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, 2010-2012 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საშუალოდ, 10 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობა და მისი ღირებულება დაკავშირდება.

იდვის ხელშეკრულებას აფორმებდა. ამასთან, 2010-2012 წლებში ერთ დღეში გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება საშუალოდ 25,964 ლარს უტოლდებოდა.

რაც შეეხება იგივე მონაცემებს 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საშუალოდ, 6 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას აფორმებდა, თუმცა, გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება დღეში საშუალოდ 15,197 ლარს შეადგენდა.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები, მეტი ვიზუალიზაციისთვის, ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეა გამოსახული.



5.3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ მონოდებული ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა ჯამში 209 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა. თუმცა, საბჭოს აპარატმა მხოლოდ იმ 92 ხელშეკრულების შესახებ გამოგვიგზავნა ინფორმაცია, რომელიც განსაიდუმლოვდა. აღნიშნული 92 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულება 25,847,731 ლარს შეადგენდა.²⁶ შესაბამისად, ცალსახაა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს 25,847,731 ლარზე გაცილებით დიდ თანხაზე აქვს გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ინფორმაციით, ზემოთ აღნიშნული 209 საიდუმლო ხელშეკრულებიდან 208 ხელშეკრულება 2010-2012 წლებში გაფორმდა, ხოლო დარჩენილი ერთი – 2014 წელს და ხელშეკრულების ღირებულება მხოლოდ 2648 ლარს შეადგენდა.²⁷

2010-2012 წლებში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, საშუალოდ, 6 დღეში 1 ხელშეკრულებას აფორმებდა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ უშიშროების საბჭოს აპარატის მიერ მონოდებული ინფორმაცია მხოლოდ 92 ხელშეკრულების ღირებულებას – 25,847,731 ლარს ეხება, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენს შეადგენდა 209 ხელშეკრულების ღირებულება. და მაინც, 92 ხელშეკრულების ღირებულების მიხედვით (25,847,731 ლარი) თუ ვიმსჯელებთ, ეროვნული უშიშროების საბჭო 2010-2012 წლებში, საშუალოდ, დღეში 23,602 ლარის ღირებულების ხელშეკრულებას აფორმებდა.

5.4. საქართველოს მთავრობის კანცელარია/ადმინისტრაცია


ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს მთავრობის კანცელარიამ/ადმინისტრაციამ 18,149,239 ლარის ღირებულების 25 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა.²⁸ წლების მიხედვით, გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების ღირებულება ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზეა გამოსახული.

²⁶ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის 2014 წლის 8 დეკემბრის #2/575 კორესპონდენცია;


²⁷ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის 2014 წლის 8 დეკემბრის #2/575 კორესპონდენცია;

²⁸ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2014 წლის 3 დეკემბრის #40772 და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 26 სექტემბრის #65363 კორესპონდენციები;

საიდუმლო შესყიდვების რაოდენობა



საიდუმლო შესყიდვების ღირებულება



ოფიციალური ინფორმაციის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში უწყების მიერ გაფორმებული 25 ხელშეკრულებიდან 56%, ანუ 14 ხელშეკრულება 2010-2012 წლებში გაფორმდა, ხოლო 44%, ანუ 11 კონტრაქტი – 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ამასთან, 2010-2012 წლებში გაფორმებული 14 ხელშეკრულების ღირებულებამ 17,622,558 ლარი შეადგინა, ხოლო 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე გაფორმებული 11 ხელშეკრულების ღირებულებამ – 526,681 ლარი. შესაბამისად, 2010-2012 წლებში საქართველოს მთავრობის კანცელარია/ადმინისტრაცია, საშუალოდ, 78 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას აფორმებდა. ამასთან, 2010-2012 წლებში ერთ დღეში გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება საშუალოდ 16,079 ლარს უტოლდება.

იმავე ტიპის მონაცემები 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდთან მიმართებით შემდეგნაირად გამოიყურება – საშუალოდ, 88 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება დღეში 540 ლარს შეადგენს.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები, მეტი ვიზუალიზაციისთვის, ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეა გამოსახული.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

2010-2012 წ.

- 14 ხელშეკრულება
- 17,622,558 ლარი
- დღეში 16,079 ლარი
- 79 დღეში 1 ხელშეკრულება


2013-2015 წ.

- 11 ხელშეკრულება
- 526,681 ლარი
- დღეში 540 ლარი
- 88 დღეში 1 ხელშეკრულება

5.5. საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო


კიდევ ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საიას ფოკუსში მოხვდა, საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოა. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტომ 7,340,397 ლარის ღირებულების 152 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმდა.²⁹ წლების მიხედვით, გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების ღირებულება ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზეა გამოსახული.

საიდუმლო შესყიდვების რაოდენობა



²⁹ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს 2015 წლის 14 იანვრის #8/3/ და 22 სექტემბრის #6/1-შ/2 კორესპონდენციები;

საიდუმლო შესყიდვების ღირებულება



სააგენტოს ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში, უწყების მიერ გაფორმებული 152 ხელშეკრულებიდან 82%, ანუ 124 ხელშეკრულება 2010-2012 წლებში გაფორმდა, ხოლო 18%, ანუ 28 კონტრაქტი – 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

გარდა ამისა, 2010-2012 წლებში გაფორმებული 124 ხელშეკრულების ღირებულება 4,126,607 ლარს შეადგენს, ხოლო 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე გაფორმებული 28 ხელშეკრულების ღირებულება 3,213,791 ლარია. ამდენად, 2010-2012 წლებში სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო, საშუალოდ, 9 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას აფორმებდა. ამასთან, 2010-2012 წლებში ერთ დღეში გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება, საშუალოდ, 3,765 ლარს უტოლდება.

რაც შეეხება მონაცემებს 2013 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში, სააგენტო, საშუალოდ, 35 დღეში 1 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას აფორმებდა, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება დღეში 3,299 ლარს უტოლდება.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები, მეტი ვიზუალიზაციისთვის, ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეა გამოსახული.

სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო

2010-2012 წ.

124 ხელშეკრულება

4,126,607 ლარი

დღეში 3,765 ლარი

9 დღეში 1 ხელშეკრულება

2013-2015 წ.

28 ხელშეკრულება

3,213,791 ლარი

დღეში 3,299 ლარი

35 დღეში 1 ხელშეკრულება

5.6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

კიდევ ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც საის 2010-2015 წლებში განხორციელებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაა. თუმცა, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისგან განსხვავებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ დაუკონკრეტიებია ინფორმაცია წლების, თითოეული წლის განმავლობაში გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობის და ხელშეკრულების ღირებულების შესახებ. ამდენად, ქვემოთ მოყვანილი მონაცემები,

პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი მონაცემების გამოყვანის საშუალებას იძლევა, ვიდრე ეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 869,875 ლარის ღირებულების 12 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა.³⁰ ზემოთ აღნიშნული 12 ხელშეკრულებიდან 8 ხელშეკრულება 2010 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 27 ნოემბრამდე პერიოდს მოიცავს, ხოლო დანარჩენი 4 – 2014 წლის 27 ნოემბრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდს.³¹

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ნათელი ხდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, საშუალოდ, 173 დღეში ერთ ხელშეკრულებას აფორმებდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხოლო 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ღირებულება დღეში 420 ლარს შეადგენდა.

5.7. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საბჭოს აპარატმა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ 2015 წლის განახორციელა და 2015 წლის 1-ლი იანვრიდან იმავე წლის 11 ნოემბრამდე 15 ხელშეკრულება გააფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ღირებულება დღეში 420 ლარს შეადგენდა.³²

საბჭოს აპარატის ინფორმაციით, ზემოთ აღნიშნული 15 ხელშეკრულებიდან ექვსს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის №04-ს განკარგულება დაედო საფუძვლად. მართალია, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს არ მოუწოდებია ინფორმაცია ხელშეკრულებების ღირებულების შესახებ, თუმცა, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის თანახმად, საბჭოს აპარატს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის №04-ს განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2,333,000 ლარი გამოეყო, საიდანაც საკასო ხარჯმა 602,851 ლარი შეადგინა.³³

ინფორმაცია დანარჩენი 9 ხელშეკრულების ღირებულების და/ან ფაქტობრივი შესრულების შესახებ საიასთვის უცნობია.

6. განსაიდუმლოვანული ხელშეკრულებები

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წინამდებარე კვლევის მომზადების დროს წარმოადგენდა იმ ხელშეკრულებების მოძიება, რომლებიც თავის დროზე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სტატუსით გაფორმდა და მოგვიანებით განსაიდუმლოვდა.

ეს საკითხი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სათანადო რეგულაციების არარსებობის პირობებში, შესაძლებელი ხდება ვიმსჯელოთ, თუ რა ტიპის სახელმწიფო შესყიდვები ექცევოდა საიდუმლო შესყიდვების კატეგორიაში.

მთლიანობაში, საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავრობის კანცელარიის/ადმინისტრაციის მიერ 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში გაფორმებული იმ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობა, რომლებიც ამავე პერიოდში განსაიდუმლოვდა, შეადგენს – 46,019,400 ევროს, 35,571,692 ლარს და 8,402,337 დოლარს.

6.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად,³⁴ 2010-2015 წლებში (2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი), სულ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაფორმებული 14 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება განსაიდუმლოვდა, რომელთა ღირებულება ჯამში 46,019,400 ევროს, 11,720,877 ლარს და 7,675,200 დოლარს შეადგენს.

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული ხელშეკრულების შესახებ და აღნიშნული ხელშეკრულებები დაჯგუფებულა ხელშეკრულების მიმწოდებელი მხარეების მიხედვით.

³⁰ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 9 მარტის #2235 და 29 სექტემბრის #9671 კორესპონდენციები;

³¹ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2015 წლის 9 მარტის #2235 და 29 სექტემბრის #9671 კორესპონდენციები;

³² საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის 2015 წლის 11 ნოემბრის #1246 კორესპონდენცია;

³³ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. ელექტრონულად ხელმისაწვდომია - http://mof.gov.ge/images/File/biuj2015-9tve/TAVI_III.pdf;

³⁴ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2015 წლის 13 მარტის #MOD 2 15 00196952 და 22 სექტემბრის #MOD 7 15 00779905 კორესპონდენციები;

6.1.1. შპს „სუპერ V“

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შპს „სუპერ V“-თან საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სამი ხელშეკრულება გააფორმა. სამივე ხელშეკრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების სა-განს სოფელ წავეკისში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში სარემონტო სამუშაოები წარმოადგენდა.³⁵

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „სუპერ V“
(09.12.2010 - 21.07.2011)**

	ხელშეკრულების საგანი	თანხა (ლარი)	ანგარიშსწორება
1	სოფელ წავეკისში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში სარემონტო სამუშაოები.	256,283	ეტაპობრივად. თუმცა, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ხელშეკრულების საერთო ლირებულების 95%-ის წინასწარ გადახდა.
2	სოფელ წავეკისში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში მეორე ეტაპის სარემონტო სამუშაოები.	249,238	ეტაპობრივად.
	სოფელ წავეკისში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში სარემონტო სამუშაოები.	8880 ლარი	ეტაპობრივად.

ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, სოფელ წავეკისში მდებარე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლში სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით, შპს „სუპერ V“-სთან გააფორმა სამი ხელშეკრულება, ჯამური ლირებულებით – 514,401 ლარი. უცნობია, თუ რა პრინციპით შეირჩა შპს „სუპერ V“ ხელშეკრულების შემსრულებელ მხარედ და რით იყო გამოწვეული, რომ ხელშეკრულება სარემონტო სამუშაოების წარმოების შესახებ საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, შპს „სუპერ V“-თან გაფორმებული ხელშეკრულები 2013 წლის 13 მაისს განსაიდუმლოვდა.³⁶

6.1.2. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

2011 წლის 21 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ შორის გაფორმდა ფინანსური ლიზინგის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც იმთავითვე საიდუმლოდ იქნა მიჩნეული.³⁷ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას სამინისტროსთვის უნდა გადაეცა - Gulfstream Aerospace G450, სერიული ნომრით 4106 (ორი ცალი Rolls Royce Tay Mark 611-8C ძრავით).

ხელშეკრულების თანახმად, სამინისტროს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისთვის“ თვეში 426,400 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, გადახდის დღეს არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.³⁸ აღნიშნული თანხა სამინისტროს ყოველთვიურად – 96 თვის განმავლობაში უნდა ეხადა და, საბოლოოდ, 2019 წლის 31 მაისს დაესრულებინა.³⁹ თუმცა, 2012 წლის 31 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება ფინანსური ლიზინგის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. შესაბამისად, 2011 წლის 21 ივნისიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე შუალედში (18 თვის განმავლობაში) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა გადაეხადა 7,675,200 აშშ დოლარის ექვივალენტი საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.⁴⁰ მოგვიანებით, 2013 წლის 8 მაისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების განსაიდუმლოების შესახებ.⁴¹

³⁵ 2010 წლის 9 დეკემბრის, 2011 წლის 4 მარტის და 21 ივლისის ხელშეკრულები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „სუპერ V“;

³⁶ მინაწერები - 2010 წლის 9 დეკემბრის, 2011 წლის 4 მარტის და 21 ივლისის ხელშეკრულებებზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „სუპერ V“;

³⁷ 2011 წლის 21 ივლისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“;

³⁸ 2011 წლის 21 ივლისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“;

³⁹ 2011 წლის 21 ივლისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“. დანართი #1;

⁴⁰ 2012 წლის 31 დეკემბრის შეთანხმება ფინანსური ლიზინგის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“. და შპს „ჯორჯიან ეარვეისი“;

⁴¹ მინაწერი 2011 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“;

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ვადაზე ადრე შეწყდა, ლეგიტიმურია კითხვა, რამდენად მიზანშენონილი იყო თავის დროზე ამ ხელშეკრულების როგორც გაფორმება, ისე საიდუმლოდ მიჩნევა.

6.1.3. შპს „ჯორჯიან ეარვეისი“

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შპს „ჯორჯიან ეარვეისთან“ 2011 წლის 21 ივნისს და 2012 წლის 25 ივლისს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ორი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულებები, რომელთა ჯამური ღირებულება 10,000,000 ლარს შეადგენდა და სამინისტროს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, უნდა გადაეხადა, საპარტნერო ხომალდ Gulfstream G450-ით ღირებული ფრენების შესრულებას და ტექნიკურ მოშვას გულისხმობდა.⁴²

გადაწყვეტილება ხელშეკრულებების განსაიდუმლოების შესახებ 2012 წლის 14 დეკემბერს იქნა მიღებული.⁴³

6.1.4. შპს ალგორითმი

2012 წლის 7 და 17 მარტს, ასევე, 2 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შპს „ალგორითმთან“ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სამი ხელშეკრულება გააფორმა, რომლებიც საიდუმლოდ გამოცხადდა.⁴⁴ სამივე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება იყო 26,750 ლარი. რაც შეეხება ხელშეკრულების საგანს, ყველა შემთხვევაში იყო ერთი და იგივე – ბარათი/სმარტ პაკეტი (10,700 ერთეული).

უცნობია, თუ რა დაედო საფუძვლად სამინისტროს მიერ შპს „ალგორითმიდან“ 10,700 ბარათის/სმარტ პაკეტის საიდუმლოდ მიჩნევას და რა პრიციპით შეირჩა აღნიშნული კომპანია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული სამი ხელშეკრულების განსაიდუმლოების შესახებ 2013 წლის 5 აპრილს მიიღო.⁴⁵

6.1.5. „TRANSMOBILE LTD CORP“ და შპს „ლეგიონი“

„TRANSMOBILE LTD CORP“-სა და შპს „ლეგიონთან“ გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შემთხვევაა იმ ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოვინანებით განსაიდუმლოვდა. საუბარია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის 2011-2012 წლებში გაფორმებულ ოთხ ხელშეკრულებაზე, რომლებიც იმთავითვე საიდუმლოდ იყო მიჩნეული და, რომელთაგან პირველ ორ ხელშეკრულებაში, არც თუ სრულიად ნათელი სტატუსით, მესამე მხარედ შპს „ლეგიონი“ იყო წარმოდგენილი.⁴⁶

ზემოთ აღნიშნული 4 ხელშეკრულების საერთო სახელშეკრულებო ღამში 46,019,400 ევროს შეადგენს და შთამბეჭდავად გამოიყურება ერთად აღებულ ყველა იმ ხელშეკრულებასთან მიმართებით, რომელთა მოპოვებაც კვლევაზე მუშაობისა დროს სააამ შეძლო. დასახელებული ხელშეკრულებები თვითმავალი ქვემეხების, ტანკ T-72-ების და საბრძოლო მასალების შესყიდვას უკავშირდება.⁴⁷

უცნობია, თუ რატომ მიიღო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების განსაიდუმლოების გადაწყვეტილება, თუმცა, ფაქტია, რომ წარმოდგენილი ოთხივე ხელშეკრულება ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს. კერძოდ:

- უცნობია, თუ ვინ არის „TRANSMOBILE LTD CORP“-ი, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების საგნის გამყიდველ კომპანიას წარმოადგენდა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ოთხივე ხელშეკრულებაში „TRANSMOBILE LTD CORP“-ის საიდენტიფიკაციო მონაცემები დაფარულია და, შესაბამისად, რთულია კომპანიის ზუსტი იდენტიფიკირება. თუმცა, კომპანიასთან გაფორმებული ოთხი ხელშეკრულებიდან ერთ-ერთი მათგანის

⁴² 2011 წლის 21 ივნისის და 2012 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „ჯორჯიან ეარვეისი“;

⁴³ მინაწერები 2011 წლის 21 ივნისის და 2012 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებებზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „ჯორჯიან ეარვეისი“;

⁴⁴ 2012 წლის 7 და 13 მარტის, ასევე, 2 აპრილის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „ალგორითმი“;

⁴⁵ მინაწერი 2012 წლის 7 და 13 მარტის, ასევე, 2 აპრილის ხელშეკრულებებზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შპს „ალგორითმი“;

⁴⁶ 2011 წლის 23 ივლისის და 13 ოქტომბრის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“, მესამე მხარე - შპს „ლეგიონი“; 2012 წლის 9 მარტის და 11 მაისის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

⁴⁷ 2011 წლის 23 ივლისის და 13 ოქტომბრის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“, მესამე მხარე - შპს „ლეგიონი“; 2012 წლის 9 მარტის და 11 მაისის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

– 2012 წლის 11 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების დასკვნით ნაწილში, სადაც მხარეთა რეკვიზიტები უნდა იყოს მითითებული, ღიად არის დატოვებული „TRANSMOBILE LTD CORP“-ის ბეჭდის ნაწილი. კერძოდ, აღნიშნული ბეჭდის მიხედვით იკითხება კომპანიის სახელწოდება და წარწერა: „Republic of Panama“.⁴⁸

ვებ-გვერდის www.opencorporates.com თანახმად, კომპანია სახელწოდებით „TRANSMOBILE LTD CORP“ 2010 წლის 2 სექტემბერს უნდა იყოს რეგისტრირებული პანამაში და კომპანია ანონიმურ საზოგადოებას უნდა მიეკუთვნებოდეს.⁴⁹ შესაბამისად, უაღრესად რთულია ინფორმაციის მოძიება კომპანიის შესახებ, რომელთანაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2011-2012 წლებში, საერთო ჯამში, 46,019,400 ევროს ღირებულების ოთხი ხელშეკრულება გააფორმა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ „TRANSMOBILE LTD CORP“-თან 2011 წლის 23 ივლისსა და 13 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მესამე მხარის სტატუსით და გაურკვეველი ფუნქციებით, ფიგურირებს კომპანია სახელწოდებით – შპს „ლეგიონი“. რეალურად, აღნიშნულ ორ ხელშეკრულებაში შპს „ლეგიონის“ როლი ნათლად მხოლოდ ხელშეკრულებების მე-4 ე.ნ. ანგარიშსნორების პუნქტიში ნარმოდგენილი. მაგალითად, 2011 წლის 23 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ: შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება 2,500,000 ევროს ფარგლებში გამყიდველის მიერ შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ანგარიშსნორება შპს „ლეგიონის“ საბანკო ანგარიშზე უნდა მომხდარიყო.⁵⁰ იმავე შპს „ლეგიონის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვაზე საუბარი ასევე 2011 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებაში, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 5,669,400 ევროს შეადგენდა. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით – ხელშეკრულების საერთო ღირებულების 60% ხელშეკრულების ძალაში შესვლის შედეგ შპს „ლეგიონის“ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხებოდა.⁵¹

- მესამე მხარის სტატუსით შპს „ლეგიონის“ მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის 2011 წლის 23 ივლისსა და 13 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებებში სერიოზულ კითხვას აჩენს, თუ რას ემსახურებოდა სინამდვილები ამ კომპანიის მონაწილეობა დასახელებულ ხელშეკრულებებში და მისი საშუალებით ადგილი ხომ არ ჰქონდა რაიმე სახის უკანონო გარიგებას. ამ კითხვას ისიც აძლიერებს, რომ მოგვიანებით, 2012 წლის 9 მარტსა და 11 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებებში შპს „ლეგიონი“ საერთოდ აღარ მონაწილეობს.⁵²
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში, „TRANSMOBILE LTD CORP“-ის რეკვიზიტების მსგავსად, დაფარულია შპს „ლეგიონის“ საიდენტიფიკაციო მონაცემები. თუმცა, მხარეებს შორის 2011 წლის 23 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების დასკვნით ნაწილში ღიად არის დატოვებული კომპანიის ბეჭდი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში მესამე მხარის სტატუსით ნარმოდგენილი შპს „ლეგიონი“ სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის პირველი ხელშეკრულების გაფორმებამდე დაახლოებით ათი თვით ადრეა შექმნილი.⁵³ კომპანიის დამფუძნებელი და 100% ნილის მფლობელი იყო ფიზიკური პირი მერაბ მეტრეველი. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ 2012 წლის 24 სექტემბრიდან შპს „ლეგიონის“ ნილის 66% რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების: ზაზა კაკუბავას და ეკატერინა უნგაროვას საკუთრებაში გადავიდა.⁵⁴
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის 2012 წლის 9 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 20,360,000 ევროს, ხოლო ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, შემსყიდველი, ანუ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, უფლებამოსილი იყო, ნინასწარი ანგარიშსნორების წესით, ავანსის სახით კომპანიისთვის გადაერიცხა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%.⁵⁵
- 2012 წლის 11 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 3,000,000 ევროს, თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50% კომპანია „TRANSMOBILE LTD CORP“-სთვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ნინასწარ უნდა გადაერიცხა.⁵⁶

⁴⁸ 2012 წლის 11 მაისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

⁴⁹ <https://opencorporates.com/companies/pa/711250>;

⁵⁰ 2011 წლის 23 ივლისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“, მესამე მხარე - შპს „ლეგიონი“;

⁵¹ 2011 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“, მესამე მხარე - შპს „ლეგიონი“;

⁵² 2012 წლის 9 მარტის და 11 მაისის ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

⁵³ შპს „ლეგიონის“ 2010 წლის 17 სექტემბრის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: www.reestri.gov.ge;

⁵⁴ შპს „ლეგიონის“ 2012 წლის 25 სექტემბრის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. ელექტრონულად ხელმისაწვდომია: www.reestri.gov.ge;

⁵⁵ 2012 წლის 9 მარტის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

⁵⁶ 2012 წლის 11 მაისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ფორმით დადებული ოთხი ხელშეკრულება არაერთ საეჭვო გარემოებასა და კითხვაზე მიუთითებს, მათ შორის, ამ პროცესში არსებულ შესაძლო უკანონო და კორუფციულ გარიგებაზე.

6.1.6. სს „სილქნეტი“ და „კაბელების საქმე“

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სს „სილქნეტის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც საიდუმლოდ გამოცხადდა.⁵⁷ ხელშეკრულების ჯამური ლირებულება, რომელიც 6,720,877 ლარს შეადგენდა, მოიცავდა ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ ისეთ კომპონენტებს, როგორიცა:

- მომწოდებლის ხაზობრივ ნაგებობებში განთავსებულ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში წვერების თავდაცვის სამინისტროსთვის საკუთრებაში გადაცემა;
- საქონლის მონტაჟი;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში შესაბამისი მომსახურება და კომპანიის ობიექტებზე/ხაზობრივ ნაგებობებში სამინისტროს საკომუნიკაციო აპარატურის და ქონების განთავსება (იჯარა).

ხელშეკრულების ანგარიშსწორების ნაწილში აღინიშნა, რომ მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, ავანსის სახით განეხორციელებინა წინასწარი ანგარიშსწორება 6,480,877 ლარის ოდენობით, კომპანიის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.⁵⁸

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2036 წლის 1-ლ აპრილამდე განისაზღვრა და ალბათ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი იქნებოდა ცნობილი, რომ არა ე.წ. „კაბელების საქმე“.

„კაბელების საქმედ“ წოდებული ამბავი 2014 წლის 28 ოქტომბერს გახმაურდა, როდესაც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოქმედი მაღალი თანამდებობის პირების დაკავების შესახებ.⁵⁹ ცხადია ამ კულების მიზანს არ წარმოადგენს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის შეფასება, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქმე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვასთან იყო დაკავშირებული, პროკურატურის განცხადებიდან რამდენიმე საგულისხმო დეტალის გამოყოფა შეიძლება. კერძოდ:

- თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებმა, ვითომდა პაზრის საკულევად და შესაძენი ქონებისა და მომსახურების მისაღებად საჭირო ყველაზე დაბალი ფასის განსასაზღვრად, გამოაცხადეს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვა;
- მოწვევა სს „სილქნეტთან“ ერთად გაეგზავნა საქართველოში მოქმედ 9 კომპანიას, რომლებსაც წინადადებების წარმოსადგენად 5 სექტემბრამდე მიეცათ ვადა. ვინაიდან სენატული სამუშაოს შესასრულებლად თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი იყო არარეალურად მოკლე ვადა, მხოლოდ ოთხმა კომპანიამ შეძლო ზოგადი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა;
- თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის პროცესის მიმდინარეობისას, მოხდა კომპანიების მიერ წარმოდგენილ წინადადებებში დაფიქსირებული მხოლოდ მისაწოდებელი ფასის გამოცხადება. იმავე თარიღით შედგა შემოთავაზების გახსნის ოქმი, რომლის მიხედვითაც, თითქოს, წინადადებები გაიხსნა ტრანსპარანტული წესების დაცვით და გადაიხედა წარმომადგენლების თანდასწრებით. რეალურად, წინადადებები უკვე გახსნილი იყო და პრეტენდენტებს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, ერთმანეთის შემოთავაზებები არ გააცნეს;
- საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის პროცესში თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებმა მიიღეს ყველა ზომა სს „სილქნეტისთვის“ უპირატესობის მინიჭებისა და მისი პრივილეგირებულ მდგრმარებელი ჩაიყენების მიზნით, რაც გამოიხატებოდა სხვა კომპანიებისათვის ქონებასა და მომსახურებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში;
- წინადადებების განხილვისას და, შემდგომ, ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა სხვა სახელმწიფო სამსახურებში შეგნებულად არ გაარკვის ანალოგური ქონების შეძენის პირობები და ლირებულება, ვინაიდან აღნიშნული მომსახურების და საქონლის შეძენა ბაზარზე შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით შედავათიან ფასად, შესყიდვაში მონაწილე სხვა კომპანიებისგან;

⁵⁷ 2013 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და სს „სილქნეტი“;

⁵⁸ 2013 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და სს „სილქნეტი“;

⁵⁹ http://pog.gov.ge/geo/news?info_id=567;

- თავდაცვის სამინისტრომ, ხელშეკრულებით, სს „სილქნეტის“ უნდა გადაუხადოს ჯამში 6 720 877.42 ლარი. აქედან წინასწარ (ავანსად) უკვე გადარიცხულია 6 480 877.42 ლარი.⁶⁰

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ზემოთ მოყვანილი გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ისეთი ელემენტების რეალურობა, როგორიცაა: თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან „ნამდვილად“ „ვითომდა“ ბაზრის კვლევა, ან თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი არარეალურად მოკლე ვადა, ან კიდევ, წესების დაუცველობა წინადადებების გახსნისას და პრეტენდენტებისათვის ერთმანეთის შემოთავაზებების არგაცნობა, არსებითად არ აუმჯობესებს საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიციას. ყველა ამ საკითხთან მიმართებით მთავარი პრობლემა ის არის, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ამას პროკურატურა აღნიშნავს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის წესების დარღვევაზე საუბარი ძალიან ძნელია, ვინაიდან, წესების არარსებობის პირობებში, რთულია კონკრეტული ქმედების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევა.

გარდა ამისა, ნაკლებად დამაჯერებელია საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან იმაზე აპელირება, რომ თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტი“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა. განსახილველი შესყიდვის დროს თავდაცვის სამინისტროს თავისუფლად შეეძლო, მხოლოდ „სილქნეტი“ მოეწვია ხელშეკრულების გასაფორმებლად და მხარეები მშვიდად შეთანხმებულიყვნენ ხელშეკრულების ღირებულებასა და პირობებზე. ასევე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამინისტრომ შეგნებულად არ გაარკვია ანალოგიური მომსახურების შექნის პირობები და ღირებულება, რთულია საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების რომელიმე ნორმის დარღვევაზე საუბარი.

2014 წლის 28 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ყურადღება გაამახვილა ავანსად გადარიცხულ თანხაზე. წარმოდგენილ კვლევაში ზემოხსენებულზე ბევრად დიდი ღირებულების საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაა განხილული. მხედველობაში გვაქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „TRANSMOBILE LTD CORP“-ს შორის 2012 წლის 9 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 20,360,000 ევროს შეადგენდა და ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სამინისტრო უფლებამოსილი იყო, წინასწარი ანგარიშსწორების წესით, ავანსის სახით, კომპანიისთვის გადაერიცხა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 100%.⁶¹ სამწუხაოდ, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები ამ დრომდე არ გამხდარ ფართო დისკუსიის საგანი და არც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან საკითხით დაინტერესების შესახებ არის ცნობილი.

„კაბელების საქმე“ რომ შევაჯამოთ, მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ საიდუმლო შესყიდვების კუთხით სახელმწიფო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. მთავრობას ჯერაც არ დაუდგენია საიდუმლო შესყიდვების ნუსხა და შესყიდვის განხორციელების წესი. ამგვარი რეგულაციების არარსებობა კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საუკეთესო წინაპირობაა, როგორც მინიმუმ, კორუფციული რისკების შემცველი გარიგებების დასადებად.

6.2. საქართველოს მთავრობის კანცელარია/ადმინისტრაცია

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2010 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე დეპერიოდში საქართველოს მთავრობის კანცელარიას/ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებიდან 7 განსაიდუმლოვდა.⁶² აღნიშნულ შვიდ განსაიდუმლოვდულ ხელშეკრულებაში გადახდილი ჯამური თანხა 21,145,000 ლარს და 727,137 აშშ დოლარს შეადგენს.

6.2.1. შპს „არქიტექტორები.ჯი2“

2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არქიტექტორები.ჯი2“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.⁶³ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას არქიტექტურული, კონსტრუქტორული, დოკუმენტაციის პარალელურად, არქიტექტურული ზედამხედველობის მომსახურებაც უნდა გაეწია. აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ კი, საქართველოს მთავრობის კანცელარიას კომპანიისთვის უნდა გადაეხადა 269,575 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური კურსის შესაბამისად,⁶⁴ რაც ხელშეკრულების გაფორმების დღეს არსებული კურსის მიხედვით 446,443 ლარს შეადგენდა.⁶⁵

⁶⁰ http://pog.gov.ge/geo/news?info_id=567;

⁶¹ 2012 წლის 9 მარტის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. მხარეები საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და „TRANSMOBILE LTD CORP“;

⁶² საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2015 წლის 2 თებერვლის #25281 და 26 სექტემბრის #65363 კორესპონდენციები;

⁶³ 2011 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #1-ს (გამარტივებული შესყიდვა.) მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არქიტექტორები.ჯი2“;

⁶⁴ 2011 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #1-ს (გამარტივებული შესყიდვა.) მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არქიტექტორები.ჯი2“;

⁶⁵ www.nbg.gov.ge;

ამასთან, ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ მთავრობის კანცელარია კომპანიას, წინასწარი ანგარიშსწორების სახით, მთელი სახელშეკრულების 100%-ს შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ჩაურიცხავდა.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების კატეგორიისთვის მიკუთვნებაზე მსჯელობის დროს, შეგვეძლო, ყურადღება მხოლოდ ამ ტიპის ხელშეკრულების საიდუმლოდ მიჩნევის მიზანშეწონილობასა და წინასწარი ანგარიშსწორების პრობლემურობაზე გაგვემახვილებინა, თუმცა, მოცემული ხელშეკრულების შემთხვევაში, საქმე ბევრად უფრო სერიოზულ კანონდარღვევასთან გვაქს. კერძოდ, საუბარია საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელებაზე, რაც ამავე კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.⁶⁶

2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არქიტექტორები.ჯი2“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ფორმდებოდა. დასახელებული ნორმა კი, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ისეთ სიტუაციაში გამოყენებაზე მიუთითებს, როდესაც დღის წესრიგში დგას სახელმწიფო ბრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობა.⁶⁷

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ ეს კანონი არ ვრცელდება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.⁶⁸ ამდენად, გაუგებარია, როგორ გამოიყენა საქართველოს მთავრობის კანცელარიამ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი იმ შესყიდვაზე, რომელიც იმთავითვე საიდუმლოდ იყო მიჩნეული.

6.2.2. შპს „არტეს“

„არქიტექტორები.ჯი2“-თან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის საიდუმლო ხელშეკრულება ერთადერთი არ არის, სადაც საქართველოს მთავრობის კანცელარიამ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის დროს, ხელშეკრულების გაფორმების საფუძვლად, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი გამოიყენა.

2012 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის გაფორმების წინაპირობადაც გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ფორმა იქნა გამოყენებული. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ობიექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისის (ქ. თბილის, ათონელის ქ. №25) სამშენებლო სამუშაოები წარმოადგენდა და ხელშეკრულების საერთო ღირებულება 21,120,000 ლარს შეადგენდა.⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის ფორმით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა, ხელშეკრულება მაინც საიდუმლოდ გამოცხადდა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტში აღნიშნული იყო, რომ შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, პირველ ეტაპზე შესაძლებელი იყო წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების 25% ოდენობით, რაც 5,280,000 ლარს შეადგენდა. შემდგომში ანგარიშსწორება იწარმოებდა ძირითადი ეტაპების შესაბამისად.⁷⁰

თუმცა, მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან მაღლევე, 2012 წლის 30 მაისს, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტს დაემატა „6.2.1.“ და „6.2.2.“ პუნქტები. აღნიშნული პუნქტების მიხედვით, შპს „არტეს“ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, წინასწარი ანგარიშსწორების სახით, ჩაერიცხებოდა 1,700,000 ლარი. ხოლო, 3,580,000 ლარის წინასწარი ანგარიშსწორების სახით ჩარიცხვისას, კომპანია საერთოდ თავისუფლდებოდა საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან და მას მხოლოდ წერილის წარდგენა ესაჭიროებოდა.⁷¹

მოგვიანებით, 2012 წლის 5 ივნისს, ხელშეკრულებას კიდევ ერთი „6.2.3.“ პუნქტი დაემატა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდებოდა, რომ შპს „არტეს“ 5,280,000 ლარი, წინასწარი ანგარიშსწორების სახით, საბანკო გარანტიის წარმოდგენის გარეშე მიეღო, რისთვისაც წერილის წარმოდგენაც საკმარისი იყო.⁷²

⁶⁶ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 1; პუნქტი 2;

⁶⁷ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 10¹ პუნქტი 3, „დ“ ქვეპუნქტი;

⁶⁸ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მუხლი 1;

⁶⁹ 2012 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #2-ს. მხარეები საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტეს“;

⁷⁰ 2012 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #2-ს. მხარეები საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტეს“;

⁷¹ 2012 წლის 30 მაისის შეთანხმება #2-ს/1 - 2012 წლის 15 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტეს“;

⁷² 2012 წლის 5 ივნისის შეთანხმება #2-ს/2 - 2012 წლის 15 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტეს“;

საიას ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტეს“ შორის 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ბოლო ცვლილება იმავე წლის 1 სექტემბერს შევიდა და სამუშაოების შესრულების ვადა, 2012 წლის 1 სექტემბრის ნაცვლად, 2012 წლის 31 დეკემბრამდე გაიზარდა.⁷³

ამრიგად, გარდა იმისა, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „არტეს“ შორის გაფორმებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ენინაალმდეგება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ამასთან, სერიოზულ კითხვებს აჩენს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსნორების ფორმასთან დაკავშირებით. მაგალითად, მარტო იატაკის მოპირკეთების მიზნით, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის რეესტრის თანახმად, 1,829,308 ლარი იყო გათვალისწინებული, ხოლო ეზოსა და ლითონის ღობის სამუშაოები 518,757 ლარს შეადგენდა.⁷⁴

6.2.3. შპს „მშენინჟსერვის“

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის 9 ივნისს საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და შპს „მშენინჟსერვის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელსაც ამჯერადაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა დაედო საფუძვლად და, იმავდროულად, საიდუმლოდ იქნა მიჩნეულა.⁷⁵

ხელშეკრულების ღირებულება 25,000 ლარს შეადგენდა, ხელშეკრულების ობიექტს კი პრემიერ-მინისტრის ოფისის (ქ. თბილისი, ათონელის ქ. №25) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა წარმოადგენდა. ანგარიშსნორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად.⁷⁶

როგორც საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ გაფორმებული სხვა ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელიც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ამჯერადაც, დაირღვა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები და შპს „მშენინჟსერვისთან“ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დროს საიდუმლო შესყიდვას საფუძვლად დაედო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი. გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ გამორიცხავს საიდუმლო შესყიდვების მიზნებისათვის ამ კანონის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს ენინააღმდეგება, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა.⁷⁷

6.2.4. სხვა ხელშეკრულებები

გარდა ზემოთ ხსენებული სამი ხელშეკრულებისა, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ კიდევ სამი ხელშეკრულება გააფორმა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. თუმცა, აღნიშნული ხელშეკრულებები არ გაფორმებულა საქართველოში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ სხვა ქვეყნის ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან გაფორმებულ საიდუმლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

⁷³ 2012 წლის 1 სექტემბრის შეთანხმება #2-ს/3 - 2012 წლის 15 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მხარეები საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტესი“;

⁷⁴ 2012 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #2-ს. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის რეესტრი. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „არტესი“;

⁷⁵ 2012 წლის 9 ივნისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #4. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „მშენინჟსერვისი“;

⁷⁶ 2012 წლის 9 ივნისის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #4. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შპს „მშენინჟსერვისი“;

⁷⁷ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 1, მუხლი 2;

⁷⁸ 2011 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულება. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და შარლოტე მ. პონტიჩელი;

საქართველოს მთავრობის კანცელარია			
№	შემსრულებელი მხარე და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი	ხელშეკრულების საგანი	ხელშეკრულების ლირებულება და ანგარიშსწორების ფორმა
1.	შარლოტე მ. პონტიჩელი ⁷⁸ 23.12.2011 – 31.12.2012 წწ.	საკონსულტაციო მომსახურება (საქართველოს მთავრობის სტრატეგიის შეფასება და მასში ცვლილებების შეტანა აშშ-ს მთავრობისა და პროფესიული კავშირების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოსათვის საექსპორტო უპირატესობების ზოგადი სისტემის მინიჭების თაობაზე).	38,780 აშშ დოლარი. ეტაპობრივად
2.	Sandler Trade LLC ⁷⁹ 23.12.2011 – 31.12.2012 წწ.	საკონსულტაციო მომსახურება (საქართველოს მთავრობის სტრატეგიის შეფასება და მასში ცვლილებების შეტანა აშშ-ს მთავრობისა და პროფესიული კავშირების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოსათვის საექსპორტო უპირატესობების ზოგადი სისტემის მინიჭების თაობაზე).	38,780 აშშ დოლარი. ეტაპობრივად
3.	ჯეისონ როზენბერგი ⁸⁰ 28.01.2012 – 31.05.2012 წწ.	საკონსულტაციო მომსახურება (სამინისტროებში ელექტრონული (ციფრული) კამპანიის თაობაზე)	1500 აშშ დოლარი თვეში. ასევე, მგზავრობის, კომუნიკაციის, ოფისისათვის საჭირო ნივთების შეძენის, ცხოვრების და ფრენის ხარჯები.

ზემოთ აღნიშნული სამი საიდუმლო სახელმწიფო ხელშეკრულება პასუხისმგებელს ტოვებს კითხვას როგორც ხელშეკრულების შემსრულებელი მხარეების შერჩევის, ასევე, ამ ტიპის მომსახურების საიდუმლოდ შესყიდვის მიზანშენობილობის შესახებ.

6.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

კიდევ ერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც საიას განსაიდუმლოებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესახებ მიანოდა ინფორმაცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2010 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 1-ლ სექტემბრამდე პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, ამავე პერიოდში გაფორმებული შვიდი ხელშეკრულება განსაიდუმლოვდა, რომელთა ჯამური ღირებულება 2,705,814.72 ლარს შეადგენს. ყველა ხელშეკრულება სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს უკავშირდება. მათგან ხუთი შპს „ბლოკ ჯორჯიასთან“ გაფორმდა, ხოლო დარჩენილი ორი – სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთთან“.⁸¹

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაიდუმლოებული თითოეული ხელშეკრულების შესახებ.

6.3.1. შპს „ბლოკ ჯორჯია“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შპს „ბლოკ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხუთი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება განსაიდუმლოვა. მათი ჯამური ღირებულება 2,335,252 ლარს შეადგენს.⁸²

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „ბლოკ ჯორჯიასთან“ გაფორმებული და შემდგომ განსაიდუმლოებული თითოეული ხელშეკრულების შესახებ.

⁷⁸ 2011 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულება. მხარეები - საქართველოს მთავრობის კანცელარია და Sandler Trade LLC;

⁷⁹ 2012 წლის 28 იანვრის ხელშეკრულება. მხარეები - საქართველოს მთავრობა და ჯეისონ როზენბერგი;

⁸⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 მარტის #1190293 კორესპონდენცია.

⁸¹ 2013 წლის: 3 ივლისის #031/13, 29 ივლისის #039/13, 4 სექტემბრის #051/13, 4 ნოემბრის #087/13 და 5 ნოემბრის #088/13 ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მხარეები - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და შპს „ბლოკ ჯორჯია“;

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და შპს „ბლოკ ჯორჯია“
(03.07.2013 – 5.11.2013)**

	ხელშეკრულების საგანი	თანხა (ლარი)	ანგარიშსწორება
1	ზემო ფონიჭალაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	703,391 ლარი და 80 თეთრი	ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით. თუმცა, შესაბამისი საბანკო გარანტის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლეოდა, ხელშეკრულების ლირებულების მაქსიმუმ 30% ნინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, ავანსის სახით ჩარიცხულიყო.
2	ქ. თბილისში, ჩალაძის ქუჩა №1-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში დროებითი მოთავსების იზოლატორის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები	413,732 ლარი და 59 თეთრი	ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით.
3	სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ტერიტორიაზე გადახურული ავტოსადგომის სამუშენებლო-სარემონტო სამუშაოები	92,477 ლარი და 8 თეთრი	ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით. თუმცა, შესაბამისი საბანკო გარანტის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლეოდა, ხელშეკრულების ლირებულების მაქსიმუმ 30% ნინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, ავანსის სახით ჩარიცხულიყო.
4	ზემო ფონიჭალაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	912,076 ლარი და 65 თეთრი	ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით. თუმცა, შესაბამისი საბანკო გარანტის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლეოდა, ხელშეკრულების ლირებულების მაქსიმუმ 30% ნინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, ავანსის სახით ჩარიცხულიყო.
5	ზემო ფონიჭალაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის ტერიტორიაზე ავტოფარეხის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები	209,574 ლარი და 51 თეთრი	ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით. თუმცა, შესაბამისი საბანკო გარანტის წარმოდგენის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლეოდა, ხელშეკრულების ლირებულების მაქსიმუმ 30% ნინასწარი ანგარიშსწორების ფორმით, ავანსის სახით ჩარიცხულიყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შპს „ბლოკ ჯორჯიასთან“ 2013 წლის 7 ივლისიდან იმავე წლის 5 ნოემბრის ჩათვლით გაფორმებული ხუთი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ნათლად მიუთითებს, რომ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების წესის რეგულირების არარსებობის პირობებში, საიდუმლო შესყიდვის სახელით შეიძლება გაფორმდეს ისეთი ხელშეკრულებიც, რომელთა საგანსაც დროებითი მოთავსების იზოლატორის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, ან კიდევ, ავტოფარეხის სარემონტო სამუშაოები წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული ხუთი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საიდუმლო შესყიდვის ფორმით გაფორმების მიზანშეუწოდობაზე, სავარაუდოდ, ისიც მიუთითებს, რომ 2014 წლის 17 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ხუთივე ხელშეკრულება განსაიდუმლოვდა.⁸³

6.3.2. სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთი“

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთთან“ გაფორმებული ორი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება განასაიდუმლოვა, რომელთა ჯამური ღირებულება 370,562 ლარს შეადგენს.⁸⁴

⁸³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 ივნისის #1190293 კორესპონდენცია;

⁸⁴ 2013 წლის 11 სექტემბრის #056/13 და 22 ნოემბრის #100/13 ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. მხარეები - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სს სამშენებლო საწარმოთა გაერთიანება „იმერეთი“;

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთი“
(11.09.2013 – 22.11.2013)**

	ხელშეკრულების საგანი	თანხა (ლარი)	ანგარიშსწორება
1	ქ. თბილისში, ჩალაძის ქუჩა №1-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის XI სართულზე სამუშაო ფართის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები	314,471 ლარი და 71 თეთრი	ეტაპობრივად
2	ქ. თბილისში, ჩალაძის ქუჩა №1-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის XI სართულზე სამუშაო ფართის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები	59,090 ლარი და 38 თეთრი	ეტაპობრივად

როგორც შპს „ბლოკ ჯორჯიას“, ასევე სს სამშენებლო გაერთიანება „იმერეთის“ შემთხვევაში, პრობლემურია სარემონტო სამუშაოების ნარმოების მიზნით საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება. მიზანშენონილობის საკითხის გარდა, საყურადღებოა ისიც, რომ რეგულაციების არარსებობის პირობებში, უაღრესად მაღალია კორუფციული თუ სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო გარიგებების შესაძლებლობა.

7. დასკვნა

კვლევაში ასახული ინფორმაციის და ძირითადი მიგნებების გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საკითხები:

- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის არარსებობის პირობებში, ხელისუფლება კვლავაც აგრძელებს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას. ის გარემოება, რომ 2010-2015 წლებში საქართველოში არსებული მარტო შვიდი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საერთო ჯამში, 747,407,518 ლარის ღირებულების 2752 საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა, ნათლად მიუთითებს, თუ რადგენად მაღალია იმის აღბათობა, რომ ამ პროცესში ადგილი ჰქონდეს კორუფციულ თუ სხვა სახის კანონდარღვევებს;
- განსაიდუმლოებული ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ კითხვებს აჩენს კონკრეტული სახელმწიფო შესყიდვების, საიდუმლოდ შესყიდვის მიზანშენონილობის და შემსრულებელი კომპანიების შერჩევის კუთხით;
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის არარსებობის პირობებში, რიგ შემთხვევებში, საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის გამოყენება აღნიშნული კანონის მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს;
- შემაშფოთებელია და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დამატებით განმარტებებს საჭიროებს 2010-2015 წლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების ის ნაწილი, რომელიც ამავე ჰერიოდში განსაიდუმლოვდა და ადასტურებს, რომ საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების დროს ადგილი ჰქონდა გაურკვეველი ფუნქციის მქონე ე.ნ. „ხელშეკრულების მესამე მხარის“ სტატუსით მონაწილე კომპანიების არსებობას, რაც, მაღალი აღბათობით, სავარაუდო კორუფციულ გარიგებებზე მიუთითებს;
- მიუხედავად იმის, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შვიდი ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შემცირდა საიდუმლო სახელმწიფო ხელშეკრულებების სტატუსით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა და, ასევე, ამ გარიგებების სახელშეკრულებო ღირებულება, რეალურად, მარეგულირებელი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება როგორც გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების საიდუმლოების მიზანშენონილობის, ასევე შემსრულებელი კომპანიების შერჩევასა და შესაძლო კორუფციული გარიგებების არსებობასთან დაკავშირებული საკითხები.

8. რეკომენდაციები

რეკომენდაციების თვალსაზრისით, საიას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ:

- საქართველოს მთავრობამ დროულად უზრუნველყოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის მარეგულირებელი დადგენილების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა;
- ზემოთ აღნიშნული დადგენილების შემუშავებისა და მიღების დროს, საქართველოს მთავრობამ, გონივრულ ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა და პროცესის ღიაობა;
- შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული - სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცებამდე, მინიმუმამდე დაიყვანონ იმ ტიპის ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების ფორმით ხორციელდება.